გამწვანების პროექტი

დოკ. № 2212-671 • თარიღი: 31.12.2022



მისამართი: **თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N189**

საკადასტრო კოდი: **01.72.14.011.451**

საპროექტო ტერიტორიის ფართობი: **900 მ²**

კ-3 კოეფიციენტი: **0.2**

საპროექტო გამწვანება: **160.1 მ²**

არსებული მცენარეები: **0**

დასარგავი ნერგები: **6**

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: **2025 წ.**

მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: **შპს "სანდო"**

მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: **3 წელი**

დამკვეთი: შპს "სანდო"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

ლევან გოშაძე _____ ექსპერტი

ემზარ შარია _____ დირექტორი

ნინო გოგოსაშვილი _____ პროექტექტორი

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD 400331716

მცენარეთა საპროექტო განლაგება - დასარგავი მცენარეები

გენგეგმა
მ 1:200



დასარგავი მცენარეები - 6

მცენარის დასახელება და პირობითი აღნიშვნა	რაოდენობა	ღეროს შინ. გარშემორე რიტობა (სმ)	შინიმალური ასაკი (წ.)	შინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
დიდ ვარჯიანი ხეები						
იტალიური ფიქვი (Pinus pinea)	3	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
ორნაკვთიანი გინკგო (Ginkgo biloba)	2	20-22	5	3.5	ჩრდილის მოყვარული საშუალოდ მზარდი	
მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი (Acer platanoides)	1	20-22	5	3.5	ჩრდილის მოყვარული საშუალოდ მზარდი	

შენიშვნა:
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა
- საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს მსუბუქ კონსტრუქციას, რომელსაც არ გააჩნია საძირკველი



დამკვეთი: შპს "სანდო"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

აქსონომეტრიული ხედები

ფორმატი A3



დამკვეთი: შპს "სანდო"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

გამწვანების ფართობი: 160.1 მ^2 (კ-3 = 0.2)





დასარგავი მცენარეები - 6

დასახელება	რაოდენობა	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	ღეროს მინ. გარშემოწე-რილობა (სმ)
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	3	5	3	20-22
ორნაკვთიანი გინკგო (Ginkgo biloba)	2	5	3.5	20-22
მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი (Acer platanoides)	1	5	3.5	20-22



საკადასტრო კოდი: 01.72.14.011.451
ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი

ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი:
შპს "სანდო"

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2022 წ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2025 წ.

წერილის ნომერი: **18-01230163270**
თარიღი: **16/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01230111546
წერილის თარიღი:	11 იანვარი, 2023
განმცხადებელი:	რაფაელ ხეთაშვილი
განაცხადის N	AR1934034
მისამართი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N189
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.011.451
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ავტოსამრეცხაო; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №6095697 თარიღი: 24 აგვისტო, 2022
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	900 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „სანდო“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11

დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 6 ძირი ნერგი (3 ძირი იტალიური ფიჭვი, 2 ძირი ორნაკვთიანი გინკგო, 1 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი) სრულად ითვისებს კ3(0.2) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (135 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი